ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №157063

ნომერი: AR144913

თარიღი : 01.05.2012

გაცემის თარიღი : 08.05.2012

გაცნობის თარიღი : 08.05.2012

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვი , N 2 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ტაბატაძე პ/ნ 01011017047
- თბილისი ღვინის აღმ. N 7

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ:

1. თქვენს მიერ ნომენკლატურა არ არის სწორად შერჩეული. ვინაიდან 2011 წლის 09 თებერვლის #12/8840-13 წერილით არქიტექტურის სამსახურის მიერ შეთანხმებული იქნა 2.20 მეტრამდე სიმაღლის ღობის მშენებლობის საკითხი, ახალი განცხადებით დარეგისტრირებისას უნდა შეარჩიოთ: "I კლასი - მცირე არქიტექტურული ობიექტები" - "4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე" - ქმედებები "კორექტირება" (ნაცვლად ახალი მშენებლობისა).
2. ახალი განცხადებით დარეგისტრირებისას განმცხადებლის ან თანაგამცხადებლის სახით უნდა მომართოს საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ, შ.პ.ს. "ქართლი უნივერსალ სერვისი"-ს დირექტორმა, მოქ. მალხაზ ჯოხაძემ ან მისი მინდობილობა ატვირთული უნდა იყოს "არსებობის შემთხვევაში წარმომადგენელის მინდობილობა/რწმუნებულების" ველში.
3. "მოთხოვნის ტექსტში" მოთხოვნასთან ერთად დამატებით დაფიქსირდეს კორექტირების შინაარსი.
4. არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა და ფოტომონტაჟი გადაღებული იქნას ერთსა და იმავე რაკურსიდან.
5. "ფოტომონტაჟზე" დატანილი იქნას ღობის და შლაგბაუმის გაბარიტული ზომები. ინფორმაციის სახით გაცნობებთ, რომ სამეზობლო მიჯნის ზონაში, საკადასტრო საზღვართან 2.20 მეტრზე მაღალი ღობის განთავსების შემთხვევაში დამატებით წარმოსადგენი იქნება მომიჯნავე მიწის ნაკვეთების მესაკუთრეების თანხმობები, მიჯნის ზონაში 2.20 მეტრზე მაღალი ღობის მოწყობასთან დაკავშირებით.
6. ფაილის მიმაგრების ველში ატვირთული იქნას საკადასტრო გეგმა, მასზე ღობის განთავსების არეალის დატანით.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.